PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯი მოდუსის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ალინა კუპრავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი მოდუსი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ- კოლეჯი „მოდუსს“ მარნეულის მუნიციპალიტეტში (იაღლუჯის დასახლება)აქვს ახალაშენებული შენობა. კოლეჯს სურვილი აქვს აღნიშნულ ლოკაციაზე დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, აღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2021 წლის 12 აპრილის N348150** ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯი "მოდუსის" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმდინარე წლის **26 აპრილს.** მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, სასწავლო გარემოს, ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. **(იხილეთ დანართი 1 - ვიზიტის განრიგი).**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერვიუ შედგა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ შორის დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითრებაზე და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებთან, გასაუბრება ასევე შედგა კოლეჯი მოდუსი მარნეულის მენეჯერთან.

კოლეჯის დირექტორმა ექსპერტებს განუმარტა, რომ სსიპ კოლეჯი „მოდუსი"-ს მისიის შესაბამისად სტარტეგიული და სამოქმედო გეგმებში 2021 წელს დაგეგმილი იყო მარნეულში საგანამანთლებლო პროგრამების დამატება. რომ მარნეულის ლოკაციაზე დაგეგმილია 4 პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელება, ეს პროგრამებია: ელექტროობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბუღალტერია და მებოსტნეობა.

კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს კოლეჯის კორპუსი ქ. მარნეულში, მისამართზე იალღუჯის დასახლება, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორია;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტები, მათ შორის სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის 2 გეგმა.

ერთ-ერთი შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის **N 39** ბრძანებით **15.03.2021**, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის **30 მაისამდე** კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.მეორე შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის **N 108** ბრძანებით **28.04.2021** და გეგმის მიხედვით იდენტიფიცირებულია შემდეგი პრობლემები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შესყიდვის პროცესის დასრულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მებოსტნეობა
- ცენტრალური გათბობა
- კამერების დამონტაჟება
- პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის კადრის გადამზადება
- ინტერნეტ-კომუნიკაციის ჩართვა

განსაზღვრულ აქტივობების შესრულებაზე გეგმაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები და ფინანსური რესურსი(ბიუჯეტი), ასევე განსაზღვრულია აქტივობის დაწყების და დასრულების დრო, გასაუმჯობესებელი კომპონენტების შესრულების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია **30.08.2021.** (იხ.წინამდებარე დასკვნის პროექტის პუნქტი IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	-	**სრულად შეესაბამება**
4.2) პერსონალის განვითარება	-	**სრულად შეესაბამება**
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	-	**მეტწილად შეესაბამება**
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	**მეტწილად შეესაბამება**

შენიშვნა: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-5 სტანდარტი, რომ იყოს სრულ შესაბამისობაში 5.2 კომპონენტი უნდა იყოს „სრული“.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა-არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის დროს მიმდინარე წარმოების ფარგლებში შესაფასებელ კომპონენტებთან მიმართებაში რეკომენდაციები არ იყო გაცემული.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1. 4. კოლეჯმა უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის **30.08.21**);

5.1.2. 1. კოლეჯმა მიმართოს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს და მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის **30.05.21**);

5.1.2.4. კოლეჯმა უზრუნველყოს კამერების დამონტაჟება. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის **30.07.21**);

5.2.1.1. კოლეჯმა უზრუნველყოს ინტერნეტ-კომუნიკაციის სისტემის გამართვა. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსაზღვრული თარიღი არის **30.06.21**);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.3. 2021 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერს დაგეგმილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დანერგვა 2021-2022 სასწავლო წელს, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერ რეგულაციებში ნათლად გამოჩნდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა ვერიფიკაციის მიმართულებით;

4.1.1.2 რეკომენდირებულია კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში უმოკლეს ვადაში ასახული იქნას მარნეულის ლოკაციაზე დანიშნული თანმაშრომლების პასუხისმგებლობები კონკრეტულ აქტივობებზე, ასევე იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობები, რომლებიც საერთოა ორივე ლოკაციაზე.

4.2.1.5 რეკომენდირებულია კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის რესურსების გრაფაში ნათლად გამოჩნდეს კოლეჯის პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

5.1.1.1. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ფორმაში იქნას ასახული შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2.3. დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები: უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგე, ამავე ბრძანების მესამე პუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: უშუალო სამუშაო ადგილებზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების სამუშაო დრო და ხანგძლივობა არის არასრული განაკვეთი, ასევე მათთვის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება არ დგინდება, კოლეჯს ეძლევა შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაცია: სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვროს საშტატო ერთეულით/პოზიციით დასაქმებული პირები და უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი სწავლების ჩატარება.

5.2.3.1. რეკომენდირებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ვებგვერდზე პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას სტუდენტებისთვის - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge), განთავსებული იყოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტებისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული სტრუქტურა და კოლეჯის მიერ გამოგზავნილი პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები. მარნეულის ლოკაციის ფუნქციონირებისთვის კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია 7 საშტატო ერთეული: მარნეულის ფილიალის მენეჯერი, ადმინისტრაციის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი,პროფესიული განათლების მასწავლებლები, უსაფრთხოების ცვლის უფროსი, უსაფრთხოების ცვლის მორიგეები და დამლაგებლები. მარნეულის ფილიალის მენეჯერი ექვემდებარება კოლეჯის დირექტორს. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ მკაფიოდაა გაწერილი პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დისტანციური წარმოების დროს მოხდა მათთან გასაუბრება, ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. მარნეულის ლოკაციაზე დაგეგმილია განხორციელდეს 4 პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა. დირექტორის ბრძანებით 3 თვის გამოსაცდელი ვადით დანიშნულია 2 დამლაგებელი, მარნეულის ფილიალის მენეჯერი, ადმინისტრაციის მენეჯერი და სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით 2021 წელს დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება მარნეულში. ექსპერტთა შეფასებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, იმ თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც საერთოა ორივე მისამართზე, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები, შესაბამისობაშია მათ მიერ ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ და კოლეჯის სამოქმედო გეგმით დაგეგმილ შესასრულებელ აქტივობებთან ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯის სამოქმედო გეგმა და მოხდა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება, გასაუბრებით დადგინდა, რომ მარნეულის ლოკაციისთვის საჭირო პერსონალის დანიშვნა მოხდა მიმიდნარე წლის აპრილში და მათი პასუხისმგებლობა 2021 წლის სამოქმედო გეგმაში ჯერ გაწერილი არ არის, დადგენილი წესის შესაბამისად მოხდება სამოქმედო გეგმაში ცვლილება და მარნეულის ლოკაციის თანამშრომლების პასუხისმგებლობები ისე განაწილდება, რომ ხელი შეუწყოს კოლეჯის საქმიანობას. რეკომენდირებულია კოლეჯის სამოქმედო გეგმაში უმოკლეს ვადაში ასახული იქნას მარნეულის ლოკაციაზე დანიშნული თანმაშრომლების პასუხისმგებლობები კონკრეტულ აქტივობებზე, ასევე იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობები, რომლებიც საერთოა ორივე ლოკაციაზე.

3. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯს ჰყავს 1 ხარისხის მართვის მენეჯრი, მარნეულის ლოკაციისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სხვა პირი არ არის სტრუქტურით გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეისწავლა შემდეგი დოკუმენტები: სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის მართვის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმა და მიმდინარე წარმოების დროს გაესაუბრა ხარისხის მართვის მენეჯერს. 2021 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით ხარისხსი მართვის მენეჯერს დაგეგმილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დანერგვა 2021-2022 სასწავლო წელს, რეკომენდირებულია ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერ რეგულაციებშიც ნათლად გამოჩნდეს ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა ვერიფიკაციის მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის სტრუქტურა [სტრუქტურა - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge)](modusi.ge)*
- *წესდება, დებულება;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები,ფუნქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;*
- *ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უხრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები.*

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა აღწერს სსიპ კოლეჯში ადამიანური რესურსების შერჩევის, მიღების, შეფასების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მართვის პროცესს. პროცედურა ვრცელდება კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. დოკუმენტს თან ერთვის ინტერვიუს შედეგების ამსახველი ფორმა, თანამშრომლის გამოსაცდელი ვადის პერიოდში შეფასების ფორმა, თანამშრომლის კვარტალური ანგარიშის წარმოდგენის და შეფასების ფორმა, თანამშრომელთა გადამზადების გეგმა და თანამშრომლებისთვის ჩატარებულ ტრეინინგზე დასწრების უწყისი. კოლეჯი „მოდუსის“ შრომის შინაგანაწესი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსთან“. შინაგანაწესი ვრცელდება კოლეჯის ყველა თანამშრომელზე, მიუხედავად მათი თანამდებობებისა და ტერიტორიული ადგილმდებარეობისა. შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე არეგულირებს კოლეჯში დასაქმებულ პირთა შრომით ურთიერთობებს. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი ვალდებულია სამსახურში მიღებისას შინაგანაწესი გააცნობს ყველა დასაქმებულს, რომელმაც ხელმოწერით უნდა დაადასტუროს მისი გაცნობა დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. ექსპერტებმა შესწავლეს კოლეჯის მიერ გამოგზავნილი პროფესიული განათლების მასწქავლებელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, მათი შეფასებით ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან და კოლეჯის შინაგანწესთან.
2. კოლეჯის პერსონალის შერჩევის პროცედურა გაწერილია სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის ამსახველ დოკუმენტში. კოლეჯში ვაკანტურ თანამდებობაზე მიღება/დანიშვნა წარმოებს საბუთების შერჩევისა და გასაუბრების საფუძველზე. კონკურსის ჩატარებას ორგანიზებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი შესაბამისი თანამდებობის პირის მონაწილეობით; მიმდინარე წარმოების დროს მოხდა ადამიანური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მართვის მენეჯერთან გასაუბრება. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მიმდინარე თვის აპრილში მოხდა ახალი თანამშრომლების შერჩევა მარნეულის ლოკაციისთვის. თანამშრომლები დანიშნულები არიან გამოსაცდელი ვადით, ექსპერტებმა შეისწავლეს თანამშრომლების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ექსპერტთა შეფასებით პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3. ექსპერტთა შეფასებით მარნეულის ლოკაციის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
4. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და კოლეჯში არსებული ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის ბრძანება №44/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯი „მოდუსის“ წესდების დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები,დანიშვნის აქტი;*
- *პერსონალის მართვის პოლიტიკის და რეგულაციების ხელმისაწვდომობა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება;*
- *ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;*
- *შინაგანაწესი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი ახდენს თანამშრომელთა შეფასებას, როგორც თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ასევე კოლეჯში საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციაზე დასაქმებული პირების შეფასებას. შეფასების პროცედურა გაწერილია სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„თანამშრომლის შეფასების ფორმის“ შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი „თანამშრომლის შეფასების ფორმას“ უგზავნის კოლეჯის დირექტორს, ყველა ხელმძღვანელ პირს მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასების მიზნით. უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული ფორმა გადაეცემა კონკრეტულ თანამშრომელს გასაცნობად და კომენტარის გასაკეთებლად. საბოლოოდ, თანამშრომელთა შეფასების ფორმას კომენტარს ურთავს, სადაც აფიქსირებს საკუთარეი პროფესიული განვითარების საჭიროებას, შეფასების ფორმა ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯში საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებული პირების შეფასება წარმოებს ყოველ კვარტალურად. ყოველივე ზემოთთქმული კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ექსპერტებთან გასაუბრების დროს.

2. ექსპერტთა შეფასებით პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით; ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის შესაბამისად თანამშრომელთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ყოველი კალენდარული წლის იანვრის თვეში, კოლეჯის რესურსების გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის პროცედურას თან ერთვის თანამშრომლის მიერ კვარტალური ანგარიშის ფორმა, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი გადამზადების გრაფას. ხელმძღვანელი პირები, კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის დირექტორს წარუდგენენ ჯამურ კვარტალურ ანგარიშს, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი ამზადებს თანამშრომელთა გადამზადების წლიურ გეგმას, თანამშრომელთა გადამზადების გეგმის შაბლონი დანართის სახით თან ერთვის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურას. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი ამზადებს თანამშრომელთა გადამზადების წლიურ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის წარმომადგენლებმა განუმარტეს ექსპერტებს, რომ შესაბამისი გეგმა კეთდება და გეგმაში ასახულია სატრენინგო საკითხი და თემა, ასევე სამიზნე ჯგუფი, რესურსი და ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ყოველ ჩატარებულ ტრენინგს. თითოეული ტრენინგის ჩატარება აისახება თანამშრომლისთვის ჩატარებულ ტრენინგზე დასწრების უწყისით .

3. კოლეჯის წესდების მეხუთე მუხლის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ფუნქციაა წელიწადში ორჯერ, მეორე და მეოთხე კვარტლის დასრულებამდე წარუდგენს ანგარიშს კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოს პროფესიული განათლების მასწავლებლებლების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით; გასაუბრების დროს კოლეჯის დირექტორმა ექსპერტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაუდასტურა, რომ კოლეჯი ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლისთვის, კოლეჯში დანერგილია საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოვლენის და მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე პროფესიული განათლების წარდგენის პრაქტიკა.

4. ექსპერტებმა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს მარნეულის ლოკაციისთვის კონკურსით აყვანილი ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით, შეხვერდებს და სხვადასხვა ტრენინგების ორგანიზებას მათი საჭიროებიდან გამომდინარე.
5. ექსპერტებთან გასაუბრებით კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯის შინაგანაწესის მე-10-ე მუხლის შესაბამისად კოლეჯის პერსონალზე გაიცემა მადლობა და ფულადი ჯილდო. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს რომ თანამშრომელთა შეფასების ფორმაში დაფიქსირებული პროფესიული განვითარების ინიციატივა წახალისებულია კოლეჯის მიერ. აღნიშნულს ადასტურებს კოლეჯის სტრატეგიული მიზანი N3 პერსონალის განვითარება /კვალიფიკაციის ამაღლება; მიზნის შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის აქტივობებს, მათ შორის მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფას,შიდა ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებას პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ექსპერტები რეკომენდაციას აძლევენ კოლეჯს რესურსების გრაფაში ნათლად გამოჩნდეს კოლეჯის პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის ბრძანება №44/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯი „მოდუსის“ წესდების დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა;*
- *კოლეჯის შინაგანაწესი;*
- *კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმები;*
- *პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ფორმები;*
- *პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;*
- *კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 83.20.01.585 კოლეჯი განთავსებულია ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართზე განთავსებულ N1, N2, N3. შენობა-ნაგებობაში, საერთო ფართით 9022 კვ.მ. 2021 წლის 23 აპრილიდან უძრავი ქონების უვადოდ მოსარგებლეა კოლეჯი მოდუსი. ექსპერტების მიერ დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობა, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:
   - თეორიული სწავლების აუდიტორიები;
   - კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია/ები;
   - დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ადმინისტრაციული სივრცე;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული და შემოქდებითი საქმიანობისათვის;
- სანიტარიული კვანძები, შშმ პირთათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სივრცე არქივისთვის;

ექსპერტების მხრიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა აღნიშნული სივრცეების შესახებ დოკუმენტი. დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილ იქნა დოკუმენტი შემდეგი სახის ინფორმაციით: „მარნეულის სასწავლო ფართის დანაწილება; კოლეჯი არის სამსართულიანი; პირველ სართულზე არის 7 სასწავლო აუდიტორია, აქედან 1- 129 კვ.მ, დანარჩენი 43,6 კვ.მ, ორი სველი წერტილი და ფოიე. მეორე სართულზეც იგივე განლაგებაა; მესამე სართულზე არის საკონფერენციო დარბაზი, სველი წერტილები და დამხმრე ფართები.“ აქედან გამომდინარე კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია შემდგომი განვითარების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ფორმაში ასახოს შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის;

კოლეჯს აქვს მოწესრიგებული ეზო, შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, ლიფტი. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსით, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით და სხვა რაც ასევე დასტურდება, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის(უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრის ამონაწერი) განხილვის, ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება, რომ კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N 107 ბრძანებით დამტკიცებულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურა, რეგულაცია უზრუნველყოფს მათ დაცულობას, მოვლა-პატრონობას, რესურსით ყველა დაინტერესებული პირის მიერ თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას, პირობებს, საჭიროების შემთხვევაში გადაცემის და უკან ჩაბარების პროცედურას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის N156 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომლის მუხლი 21(პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები), პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია: სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურტექნიკური ბაზით. უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით. გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის. ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით;**ექსპერტთა** შეფასებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. მარნეულის ლოკაციაზე კოლეჯს დამლაგებლის პოზიციაზე დანიშნული ჰყავს ორი თანამშრომელი, რომლის სამუშაო აღწერილობის თანახმად დამლაგებლის ფუნქცია მოვალეობებია: შენობის შიდა პერიმეტრის დასუფთავება; კოლეჯის გარე პერიმეტრის დასუფთავება; კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა; სველი წერტილების რეგულარული დასუფთავება და ყოველდღიურად დეზინფექციის ჩატარება; სართულებზე არსებული სველი წერტილების ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება; დისტანციური ჩართვის დროს ექსპერტების მიერ ასევე დათვალიერდა კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცე და დადგინდა, რომ დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4. შენობა-ნაგებობაში დამოტანჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, კოლეჯის წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ვინაიდან შენობა ექსპლუატაციაში სულ რამდენიმე დღის წინ შევიდა გაზის არ არის შეყვანილი. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 აპრილის N108 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა(ქსელში ჩართვა) განხორციელდება 2021 წლის 30 ივნისს, აღნიშნულ აქტიბობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პასუხისმგებელია მარნეულის განყოფილების მენეჯერი და უსაფრთხოების უფროსი. კოლეჯს ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია შსაბამისობის გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა.

5. მარნეულის ლოკაციაზე დანიშნულია კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს რისკების შეფასებია და მართვის საკითხებს, უფლებამოსილი პირების ფუნქცია-მოვალეობებს, ინციდენტების და უბედური შემთხვევების მოკვლევის პროცედურებს, პროფესიულ დაავადებათა პრევენციას, საგანგებო სიტუაციების მართვას და ევაკუაციის წესს, სამუშაო ადგილის უსაფრთხოების წესებს, დასაქმებულთა და ვიზიტორთა ინსტრუქტაჟების ჩატარების საკითხებს და ინსპექტირების საკითხებს. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულთან გასაუბრებით დგინდება, რომ მარნეულის განყოფილებაში დასაქმებულ პირთათვის სწავლება (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟი ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა იგეგმება უახლოეს მომავალში.ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N 107 ბრძანებით დამტკიცებულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურა, რეგულაცია უზრუნველყოფს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისათვის სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფას, მათ შენახვას და გამოყენებას. ასევე დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილია ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. კოლეჯს შემუშავებული აქვს მატერიალური ფასეულობების შეფასებისა და განვითარების მექანიზმები, კოლეჯის ხარისხსი მართვის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმა მოიცავს ერთ-ერთ განსახორციელებელ ექტივობას „დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის სისტემატური მონიტორინგი და შეფასება“. 2021 წლის ბოლოს ხარისხსი მართვის მენეჯერი მოამზადებს ანგარიშს, რომლის საფუძველზეც მოხდება რესურსების შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განვითარება.ექსპერტთა შეფასებით ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8. ექსპერტთა შეფასებით მარნეულის ლოკაციაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით(მიუხედავად იმისა, რომ წყალი მიეწოდება გრაფიკით კოლეჯის სარდაფში განთავსებულია წყლის ავზები), აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; ონლაინ დათვალიერებით დასტურდება, კოლეჯის შენობის ორივე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები (2-2 კაბინა ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის). შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისთვის.
9. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.
10. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; მიმდინარე წარმოიების დროს ექსპერტებმა დაათავლიერეს კოლეჯის შენობის ორივე სრთულზე განთავსებული A, B და C სასწავლო აუდიტორიები, ისინი დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.
11. მარნეულის ლოკაციის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში სარგებლობის წესები(მუხლი 4), მომხმარებელის უფლებამოვალეობები, წიგნების გატანის წესი, კომპიუტერით სარგებლობის წესები და სხვ. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად აღრიცხულია საბიბლიოთეკო ფონდი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შექმნილია ელექტრონული კატალოგი; სამუშაო დროს სტუდენტებსა და მასწავლებლებს დაუბრკოლებლად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებსა და ელექტრომატარებლებზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამუშაო მაგიდები სტუდენტებისათვის, ასევე ქსელში ჩართულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპიუტერები და ასლგადამღები; კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გეგმავენ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნას, რომელიც ჩატვირთული იქნება პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებში.

ამ ეტაპზე პროფესიული განათლების მასწავლებლები თავად აწვდიდნენ სასწავლო რესურსებს „თიმსის“ საშუალები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ამონაწერი რეესტრიდან;*
- *შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;*
- *კოლეჯის დირექტორის დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება;*
- *მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები;*
- *დირექტორის 2021 წლის 28 აპრილის N108 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის გეგმა;*
- *დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N 107 ბრძანებით დამტკიცებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მართვის, გაცემის წესის და პროცედურა, რეგულაცია ;*
- *დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;*
- *შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება მკოლეჯის სივრცეების/ფართების ფლობა:*
- *მატერიალური ფასეულობების შეფასებისა და განვითარების მექანიზმები და ხარისხსი მართვის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმა;*
- *გასაუბრების შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები.*

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს მოპოვებული აქვს კომპეტენტური ორგანოს (ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ მარნეულის ლოკაციის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯის წარმომადგენელმა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა კომპეტეტნტური ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, თუმცა წარმოადგინა 15.03.2021 კოლეჯის დირექტორის N39 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 30 მაისამდე კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვება. კოლეჯს ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, მიმართოს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს და მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N 86 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები, მუხლი 4 არეგულირებს პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფას. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში არის ფართი, სადაც მოხდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ 112-ის საშუალებით გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციების მართვას და ევაკუაციის წესს, აღნიშნულ წესში გაწერილია საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში უფლებამოსილი პირების ფუნქციები. აღნიშნული პოლიტიკის ანალიზის და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე დასაქმებულთან გასაუბრებით დგინდება, რომ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა მის მიერ. დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, კოლეჯის მარნეულის მისამართზე სახანძრო უსაფრთხოების პირად განისაზღვრა უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგე, ამავე ბრძანების მესამე პუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: უშუალო სამუშაო ადგილებზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ვინაიდან ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების სამუშაო დრო და ხანგძლივობა არის არასრული განაკვეთი, ასევე მათთვის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება არ დგინდება, კოლეჯს ეძლევა შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაცია: სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვროს საშტატო ერთეულით/პოზიციით დასაქმებული პირები და უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი სწავლების ჩატარება.
4. კოლეჯის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით დანიშნული ჰყავს უსაფრთხოების ცვლის უფროსი და უსაფრთხოების ცვლის მორიგეები(სამი პირი), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან წესრიგის დაცვაზე. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული არ არის ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. დირექტორის 2021 წლის 28 აპრილის N108 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად კამერების დამონტაჟება განხორციელდება არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივლისისა(გეგმის ანალიზით და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერი), კოლეჯს ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს კამერების დამონტაჟება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *კოლეჯის დირექტორის მიერ 28.04.2021 N108 და15.03.2021 N39 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის გეგმა;*
- *ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;*
- *დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N105 ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;*
- *დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა,*
- *უსაფრთხოების ცვლის უფროსის და უსაფრთხოების ცვლის მორიგეების პირადი საქმეები და დანიშვნის აქტები;*
- *გასაუბრების შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია IT სპეციალისტის შტატი. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; კოლეჯის შენობა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი კომპიუტერების რაოდენობით. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური. კოლეჯში წარმოების დროს არ იყო ხელმისაწვდომი ინტერნეტი, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით იგეგმება ინტერნეტის ხელშეკრულების გაფორმება, კოლეჯმა ასევე წარმოადგინა 2021 წლის 19 აპრილს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი კორესპონდენცია, რომლის ანალიზით ჩანს, რომ ითხოვენ ინტერნეტის ჩართვას, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიან ქსელში.კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა 2021 წლის 28 აპრილს კოლეჯის დირექტორის N 108 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაგეგმილია ინტერნეტ-კომუნიკაციის ჩართვა 30.06.2021-მდე. კოლეჯს ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ინტერნეტ-კომუნიკაციის სისტემის გამართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ექსპერტებთან გასაუბრების დროს კოლეჯის IT სპეციალისტმა განმარტა, რომ სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; კოლეჯის წარმომადგენელებმა გასაუბრების დროს ექსპერტებს გაუმარტეს, რომ შეფასება ასევე ხდება კოლეჯის ინვენტარიზაციის. ექსპერტებმა შეისწავლეს IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა, სადაც გაწერილია შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.
3. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ კოლეჯში არსებობს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. ექსპერტებმა შეისწავლეს წინარე ხელშეკრულების ფორმა. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული თანხმობას აცხადებს კოლეჯმა გაასაჯაროოს მისი პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ: პირადი ნომერი, სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ.ფოსტა, მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ;
4. ექსპერტებთან გასაუბრების დროს კოლეჯის IT სპეციალისტმა განაცხადა, რომ სისტემატურად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესწავლისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯს დაგეგმილი აქვს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის სისტემატური შეფასება .
5. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; ექსპერტებმა დიტანციურად დაათვალიერეს კოლეჯის შესაბამისი გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით;
6. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას კორპორატიული მეილების საშუალებით, კოლეჯის ყველა პერსონალს და პროფესიულ სტუდენტს აქვს კორპორატიული მეილი. ასევე დაინტერესებული პირებისთვსის შექმნილია ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება. ჯოლეჯში უკუკავშირისთვის ასევე მუშაობს სმს-დაგზავნის სისტემა, ასევე ადგილობრივ მედია საშუალებებს იყენებენ. ცნობადობის ამაღლებისთვის იმართება მიზნობრივი შეხვედრები სკოლებში, კოლეჯის თანამშრომლები მონაწილეობენ საგრანტო კონკურსებში. ბიზნეს ვოთსაპის მეშვეობით ატარებენ კონსულტაციებს, პანდემიის პერიოდში 87-მდე კონსულტაცია ჩატარდა, საიდანაც 67 პირი კოლეჯის სტუდენტი გახდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის მიერ 28.04.2021 N108 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის შესაბამისობის გეგმა;*
- *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგი ;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი - პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულება;*
- *კოლეჯის სამოქმედო გეგმა;*
- *IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;*
- *კოლეჯი IT სპეციალისტთან გასაუბრების შედეგები.*

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „მოდუსს“ შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, აღნიშნული ინსტრუქცია განსაზღრავს დოკუმენტების მოძრაობის წესს, კოლეჯში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს კოლეჯის არასაიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობის წესს, კოლეჯის ბრძანებების, ოქმების, აქტების, სამსახურებრივი ბარათების, მოქალაქეთა განცხადებების, წერილებისა და შემოსული კორესპონდენციის მომზადებისა და რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციისა და შენახვის წესებს. ასევე, კოლეჯში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების საფუძვლებს. საქმისწარმოების დადგენილი წესები და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება ამ წესების დაცვით.

2. კოლეჯში მარნეულის ლოკაციაზე გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, office 365, teams და სხვა პლატფორმებს.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; დაწესებულებაში ექსპერტთა ჩართვა განხორციელდა დისტანციურად, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის დადგენილ ვადებში წარდგენით . კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მუდმივად აწვდიან ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხი განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქმისწარმოების ინსტრუქცია;*
- *საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eflow.*
- *კოლეჯის მიერ მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია;*
- *გასაუბრების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და კოლეჯის ფეისბუქ-გვერდი, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; კოლეჯის ვებგვერდის განახლებელია, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის და პროგრამების შესახებ, მათ შორის კოლეჯის მისია, ასევე ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებების შესახებ, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულ სამართლებრივ აქტებში“ განთავსებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეცვლის ან გაუქმების, შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმების შესახებ, ასევე ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზებას და მართვის შესახებ. დაინტერესებულ პირს ვებგვერდზე ასევე შეუძლია ნახოს გაკვეთილების ცხრილი, საკონტაქტო ინფორმაცია და სიახლეები. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ვებგვერდზე პროფესიული სტუდენტებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას სტუდენტებისთვის - სსიპ კოლეჯი მოდუსი (modusi.ge), განთავსებული იყოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასების, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტებისთვის სასარგებლო სხვა ინფორმაცია. კოლეჯის ფეისბუქ-გვერდი განახლებულია და ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2. კოლეჯის მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობა ან უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება, და შესაბამისად კოლეჯის ვებგვერდი ქართულ ენაზე ფუნქციონირებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის თანახმად კოლეჯი 2020-21 წლისთვის აპირებს საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყებას. საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს განმარტა, რომ გასული წლის ოქტომბერში კოლეჯმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ბალტიისპირეთის ქვეყნების 3 სხვადასხვა კოლეჯთან. ამ ეტაპზე კოლეჯი საპილოტე რეჟიმში ახორციელებს სპორტულ აქტივობებს მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი აპირებს განახორციელოს გაცვლითი პროგრამებიც.
3. ექსპერტთა შეფასებით ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს იმის შესახებ, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

4. ექპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდის მთავარ გვერდზე, და მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა, მიზანი და დევიზი, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ-პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი და სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. კატალოგში მოცემულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და კოლეჯის პარტნიორების ჩანონათვალი.
5. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამების კატალოგი. კატალოგი განახლებული და ასახულია პროფესიული პროგრამების მიხედვით განახლებული ინფორმაცია;
6. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი. მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტები გაესაუბრნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს. მათი განმარტებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის აქტიურად იყენებენ კოლეჯის ვებგვერდს, და ფეიბუქ-გვერდს. ინფორმაციის განთავსება ხდება „გუგლში“ და საზოგადოებას საშუალება აქვთ შეაფასოს კოლეჯის აქტივობები, ასევე სვამენ კითხვებს სხვადასხვა საკითხის ირგვლივ, მათ შორის სტატუსის აღდგენის შესახებ. კოლეჯის ფეისბუქგვერდს 4000-მდე გამომწერი ჰყავს, კოლეჯი დღეში 20 წერილს იღებს. ბოლო დროს კოლეჯმა დაიწყო „ტიკ-ტოკის“ გამოყენებაც ინფორმირებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უკუკავშირის მისაღებად. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის შესაბამისად (მუხლი11) მოხდება უკუკავშირის ანალიზი და შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;*
- *კოლეჯი მოდუსის მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე ;*
- *ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;http://www.modusi.ge/en/*
- *ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი; http://www.modusi.ge/wp-content/uploads/2021/04/2021.pdf https://www.facebook.com/modusi.ge*
- *ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების - შემოწმების შედეგი;*
- *ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი.*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი-2 ფურცელი გამოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.

25.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: